უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია

გარანტი

გარანტის მისამართი

პრინციპალი

პრინციპალის მისამართი

ბენეფიციარი: **სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“**

ბენეფიცარის მისამართი

საგარანტიო თანხა ----------

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილების (შემდეგში, „დადგენილება“) შესაბამისად პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი წინადადება ბენეფიციარის წინაშე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ... (ს/კ .....) ქონების (შემდგომში – ქონება) იჯარით გადაცემის მიზნით.

გარანტმა გასცა წინამდებარე საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) საბანკო გარანტიის მოქმედების პირველი 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულების გაფორმებას;

ბ) საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში, მის საფუძველზე იჯარის ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან უზრუნველყოფს „დადგენილებით“ დამტკიცებული პროგრამის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების (რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ქონების იჯარით გადაცემის პირობებს) შესრულებას (მათ შორის, აღნიშნული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

ამასთან დაკავშირებით, გარანტი იღებს გამოუთხოვად და უპირობო ვალდებულებას და ადასტურებს, რომ არის გარანტი და პასუხისმგებელი ბენეფიციარების წინაშე და კისრულობს საგარანტიო თანხის, არაუმეტეს ..... (.....) ოდენობით გადახდას ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

წინამდებარე გარანტია ძალაში შედის .... (თარიღი) და მოქმედებს .... (განაცხადის წარდგენიდან არანაკლებ 68 თვე) ჩათვლით .

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ან/და დადასტურებული ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად და ასევე, მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად

პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების რა პირობ(ებ)ი იქნა დაღვეული პრინციპალის მხრიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე ----------

საბანკო გარანტია უქმდება:

1. საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
2. „გარანტის“ მიერ ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით რომელზეც გაიცა საბანკო გარანტია;
3. პრინციპალის მიერ ვალდებულებათა შესრულების შესახებ ბენეფიციარის წერილობითი დასტურისა და გარანტისათვის ამ საბანკო გარანტიის ორიგინალი დოკუმენტის დაბრუნების შემთხვევაში.

წინამდებარე საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის გადაჭრა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.